

ოქმი N14

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

2017 წელი, 7 ივნისი
ქ. ოზურგეთი, 16⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: მ.მახარობლიძე, ლ.ბიგვავა, ი.საჯაია,
ნ.ტაბატაძე,

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, კ.კვაჭაძე, თ.ნადირიძე.

საკრებულოს წევრები: ლ.მგელაძე, ვ. ჩიგოგიძე, გ.ძიმისტარიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ქალაქის მერი, საკრებულოსა და მერიის
პასუხისმგებელი პირები, მასმედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: თ.სალუქვაძე, ლ.თოიძე, ნ.შარაშანიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ.გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც
დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და
შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“
- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების
მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა ნ. გოგუაძემ სიტყვა გადასცა პროექტის დირექტორს ნ.
თავდუმამეს, რომელმაც მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გ. ძიმისტარიშვილი - თანხა გამოყოფილია? რატომ 5,5 ათ.
ევრო - ასე ცოტა? თანხა იხარჯება ხელფასებში?

ნ. თავდუმაძე - პროექტმა გურიაში მიიღო 375 ათ. ევრო.
თანხები კონკრეტულადაა გაწერილი ტურიზმის
პროექტზე. ივლისში იგეგმება დიდი კონფერენცია.
ხელფასები გაიცემა 7 ექსპერტზე, რომელიც შეირჩევა
კონკურსის წესით ძალიან გამჭვირვალედ.

თ. ნადირიძე - რამდენ წლიანი პროექტია და შერწყმის
შემდეგ როგორ მოხდება თანხების ხარჯვა?

ნ. გოგუაძე - თანადაფინანსება არის 10%-ი I ეტაპი არის პოტენციალის კვლევა.

ნ. თვდუმაძე - პროექტი აგებულია „ჩარეტი“-ს პროექტით, რომელიც არის მრავალმხრივი მონაწილეობა ფესტივალებსა და კონფერენციებში, ჩატარდება ღონისძიებები, მოხდება რუკის შედგენა.

ლ. მგელაძე - პროექტს ქალაქში წარმომადგენელი ვინ ჰყავს?

ნ. თვდუმაძე - კონკრეტული პიროვნება არ არის, მას ჰყავს ასისტენტები.

გ. ძიმისტარიშვილი - მე ამას მხარს არ დავუჭერ, რადგანაც თანხა მიემართება არჩევნებში, მომავალ საკრებულოში დავუჭერ მხარს.

ნ. თვდუმაძე - ევროკავშირის რეგულაციების თანხა მიზანმიმართულია.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა 10 ხმით
წინააღმდეგი: გ. ძიმისტარიშვილი
განკარგულება თან ერთვის**

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე**

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

3. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარე „ნატანები“-ს მიმდებარედ ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: მედეა მახარობლიძე**

მომხსენებელმა მ. მახარობლიძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო თ. ნადირიძის განცხადება ინერტული მასალების მოპოვებაში პრობლემების შესახებ.

- აზრი გამოთქვას:** **ნ. გოგუაძე** -თქვენი კომისია არის პირდაპირი პროფილი ქალბატონო მედეა. ხომ არ აჯობებდა იმუშაოს კომისიამ და ერთი თვის მანძილზე წარმოადგინოს დასკვნა.
- ბ. სიორიძე** - ქალაქში არ არის არცერთი კარიერი, კომისიამ რა უნდა მოიკვლიოს? თუ უკანონოდ ვინმე ითვისებს, სასწრაფოდ უნდა მოვიძიოთ.
- ლ. მგელაძე** - ჩემი არაოფიციალური ინფორმაციით 3 ლიცენზიაა გაცემული ქალაქის ტერიტორიაზე.
- ლ. ბიგვავა** - მეც იგივე პოზიციაზე ვარ, მოიკვლიოს კომისიამ .
- ნ. გოგუაძე** - საკრებულოს აქვს საშუალება დაინტერესდეს ამ პრობლემით. მოიწვიეთ სპეციალისტები და ერთ თვეში წარმოადგინეთ მოპოვებული მასალები.
- ლ. მგელაძე** - ლიცენზიას სცემს გარემოს დაცვის სამინისტრო. მე ბალასტის მოპოვების წინააღმდეგი კი არა ვარ, მაგრამ მოიპოვება დიდი ოდენობით. შესამოწმებელია რამდენად კანონიერია. მოსახლეობის მიწების მითვისებაზეა საუბარი.
- ბ. სიორიძე** - მე არ ვიცი მდ. „ნატანებზე“ რა ხდება, „ბჟუჟზე“ არ მივეცი ნებართვა.
- ნ. გოგუაძე** - კომისიას აქვს ბერკეტი გარემოს დაცვის სამინისტროდან გამოითხოვოს საბუთები. თქვენ დაგევალებათ ერთ თვეში წარმოადგინოს კომისიამ დასკვნა მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად.

ნ.გოგუაძემ იურისტს სთხოვა განმარტება,რამდენად შეიძლება საკრებულოს კომისიამ მოიკვლიოს საქმე.

ე. ჯაფარიძე - სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლებით მოიწვევიან დროებით სამუშაო ჯგუფშიც. გადაწყვეტილებას მაინც იღებს საკრებულოს წევრები.

ბ. სიორიძე - თუ კი არსებობს გონივრული ეჭვი, ახლავე დაევალება შესაბამის სამსახურს და ერთ კვირაში იქნება მოკვლეული.

ლ. მგელაძე - თუ დავაკვირდებით კოსმოსიდან გადაღებულ რუკას, თვალნათლივ ჩანს, რომ ბალასტი მოიპოვება ქალაქის ტერიტორიაზე. თან არ ხდება აღრიცხვა რა რაოდენობით ინერტული მასალა გადის. ეკოლოგიური თვალსაზრისით ვითხოვთ ამის შემოწმებას. როცა კანონის ფარგლებში ხდება ინერტული მასალების ამოღება და ამოიღევა ბალასტი, ღამით ხდება მდინარედან ქვიშის ამოტანა და დილით ისევ გააქვთ მასალა.

ბ. სიორიძე - ბალასტის ამოღება უნდა ხდებოდეს გეგმაზომიერად. მე ძალიან გთხოვთ გაარკვიეთ ქალაქის მუნიციპალიტეტიდან ნებართვის გარეშე ხომ არ არის ლიცენზია გაცემული.


დადგინეს: დაევალოთ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას მოწვეულ სპეციალიტებთან ერთად ერთი თვის ვადაში მოახდინოს საქმის მოკვლევა.

დამტკიცდა ერთხმად

სხდომის თავმჯდომარემ ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა